კვირა 30 მაისი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათრახი

№ 22

-სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

## გონიერი პოლიტიკოსი.




**დიპლომატი.** დასწყევლოს ღმერთმა, მთელი თავით წაუცილებია „ჭეშმარიტი რუსისათვის.“ რო გორ უნდა გავათანასწორო ეხლა ეგენი!!

# პატარა ფელეტონი.

## ქართული ტაში.

ვისაც ქართული თეატრი უნახავს, ის, უეჭველია, მრავალგზის დამტკბარა ქართველი საზოგადოების სტუმართ მოყვარეობით და პატივისცემით.

საკმარისია სცენაზე ერთი მთვრალი მსახიობი გამოჩნდეს, საკმარისია მან ორიოდ ,,ავლაბრული" კეთილხმოვანება წარმოსთქვას, რომ ქართველი საზოგადოების ხელის გულმა ინსტიქტიურათ დაიწყოს ვარჯიში.

საკმარისია, რომელიმე აქტრისამ ,,დიდებული შახის" მაგივრათ ,,დიდებული ხაში" ახსენოს, რომ საზოგადოება ტაშის გუგუნით თეატრს გადააყრუებს.

საკმარისია გრიგოლ რობაქიძე ლამაზ სიტყვების ძებნაში კათედრას გადაახტეს, რომ საზოგადოებამ ხელის გულზე ტყავი გადაიძროს.

საკმარისია ბ-ნმა ნიკოლოზ ლორთქიფანიძემ გასაოცარის მოთმენით აწამოს თავისი ნორჩი ნიჭის უბადრუკი ალმაფრენა, საკმარისია მან თავისი ხელით დაიძროს თქვენს წინაშე თითოეული დამპალი კბილი თავისი ,,პოეზიისა", რომ ქართველი საზოგადოება ყალხზე შედგეს და ტაშის გრიალისაგან ყურთასმენა წაიღოს.

სწორეთ ასეთი განურჩევლობა იყო მიზეზი იმ ტრაღიკული შემთხვევისა, რომელზედაც ახლა მსურს ლაპარაკი.

—

ქართველი პოეტი, ბ-ნი გრილი, არხეინათ იჯდა მესამე რიგის სავარძელში, როცა ქართული თეატრის სცენაზე ახალგაზრდა დრამატურგი, ვანო წიწილაძის, პიესას ,,ფოთოლს" აღგენდენ.

პოეტი ,,გრილი" (ეს ფსევდონიმია) თვითონ არის მწერალი და ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღებით უსმენს ხოლმე სცენის მდგმურებს. თითონაც მრავალჯერ გაუწამებია მსმენელნი, რითაც მქუხარე ტაში დაუმსახურებია.

როცა პირველ მოქმედებაში მსახიობმა ყვავაძემ წარმოსთქვა საგულისხმიერო სიტყვები: ,,ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ, ჩვენი სამშობლო გვიყვარდესო" და ხალხმა ტაში დააგრიალა, თვით ბ-ნი გრილიც ხელებს ავარჯიშებდა. ეს იმიტომ, რომ მამულის სიყვარულია საჭირო.

სამაგიეროთ, მეორე მოქმედებაში ავტორი დრამისა შეეხო ჩვენს თავად-აზნაურობას და გლეხის, ნიკოლა ტეტიაძის, პირით წარმოსთქვა: ,,თავად-აზნაურობა ძლიერ ავიწროებდა ძველათ გლეხ-კაცობასაო". საზოგადოება ტაშის გრიალით დაატყდა ამ საყურადღებო განცხადებას, ბ-ნი გრილი უკმაყოფილო ადგა და მოწყენილი გამოვიდა თეატრის კულუარებში.

მესამე მოქმედებაში ნიჭიერი ავტორი (13 წლისაა) შეეხო ქართველი ინტელიგენციის უსაქმურობას და მასწავლებლის პირით განაცხადა: ,,ყოველი ქართველი ინტელიგენტი უთუოდ უნდა ასრულებდეს რომელიმე საზოგადო ფუნქციას, ამით ცხოვრება უფრო წინ წავაო". საზოგადოებამ ვეღარც აქ მოითმინა და მქუხარე ტაშით დაჰფარა მისი უკანასკნელი სიტყვები. ბ-ნ გრილს ფერი გაუკრთა და გულმა ცემა დაუწყო.

მეოთხე მოქმედებაში ენციკლოპედიური დრამა წიწილაძისა რუ ულ გაზეთების გამოცემის საკითხს შეეხო და პუბლიცისტი ნიორაძის პირით აღიარა: ,,რა საჭიროა რუსული გაზეთი, ორი ქართული ფურცელი ვერ გვიხეირებიაო", ხალხმა მასაც ძლიერი ტაში უძღვნა. ბ-ნი გრილი სკამზე ჩაიკეცა და მცირე ხნით გული შეუწუხდა. მას ვერ წარმოედგინა საზოგადოების ასეთი ვანუკითხაობა. ყოველთვის და ყოველ სიტყვაზე ერთგვარი ტაში.

— მოდი ახლა და უმართე მაგათ ლექციები, ლიტერატურული საღამოები და რეფერატები!!. გულ-მწუხარეთ ამბობდა პოეტი, როცა ასე თუ ისე მოცოცხლდა და გონს მოვიდა

მეხუთე მოქმედებაში ნიჭიერი ავტორი სტუდენტების უსაქმურობას შეეხო და ერთი კურსისტკის პირით განაცხადა: ,,ოჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ქართველი სტუდენტები უკეთ ცხოვრობდენ და უფრო კარგათ მეცადინეობდენო". აღტაცებულმა საზოგადოებამ ამ აზრსაც ტაში მიაყოლა და მით მოუსწრაფა სიცოცხლე ახალგაზრდა, ნიჭით აღსავსე მგოსანს. იმისმა ნორჩმა აგებულობამ ვეღარ აიტანა ეს უკანასკნელი თავზარი, გული გაუსკდა და......

საზოგადოება აღელდა. წარმოდგენა შესწყდა. დანარჩენი ექვსი მოქმედება, რომლებშიაც ავტორი ეხება: ქართველ დეპუტატებს, კომეტის მოვლინებას, მამულის საკითხს, ფოთის საფუთო გადასახადს, თელავის პროგიმნაზიას და გელათის მონასტერს, სხვა დროისათვის გადაიდო...

—

გულდაწყვეტილი და მგლოვიარე ხალხი ნაშუაღამევის მეოთხე საათზე წავიდ-წამოვიდა თეატრის დარბაზიდან. არავინ არ იცოდა ნამდვილი მიზეზი საყვარელი მგოსნის ტრაღიკული გარდაცვალებისა.

მაგრამ როდემდის, როდემდის უნდა ვიყოთ ასეთი განურჩეველი ხელის გულთა ვარჯიშობაში? როდის შევიგნებთ, რომ ჩვენის დაუფიქრებლობით ასეთ მწუხარებას ვაყენებთ სამშობლო მხარეს, ასეთ მოღვაწეებს ვაცლით მას ხელიდან.

დროა დავფიქრდეთ!

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღიმილი.

—

შენ მაისის ვარდის გაშლას,
ღიმილის დროს ტუჩთა პობით,
მოგვაგონებ, გენაცვალე,
სრულად, უმეტ ნაკლებობით!
სიწმინდე და სათნოება
ამ ღიმილში ჩანაქსოვი
არის, როგორც ლალთა შუა
ბროლი თეთრად ჩანათოვი.
ეს ხომ არის თაიგული,
ტრფობის ნიშნათ დანაბწენი,
და ვისაც მას ძღვნათ მიართმევ,
მყის გახდება მონა შენი!
მხოლოთ მონებს ერიდები,
რომ ახლოც არ გაიკარო,
რომ არ იქცეს გულვის საგნათ
სიყვარული სანეტარო:
და გინდა, რომ შენს ღიმილში
მხოლოთ შვების სხივი კრთოდეს,
რომ უმისოთ ეგ ღიმილიც
არ დასახო არასოდეს ..
გთხოვ, მიხედო დაჩაგრულებს,
ცხოვრების გერთ მისცე ხელი,
მათ მიუძღვნა თაიგულათ
ეგ ღიმილი სანატრელი!
რადგან მონაც დაჩაგრულს სძულს,
გულით უყვარს... ეტრფის შვებას!
მისოდენ მსხვერპლს ვინ შესწირავს
სიწმინდეს და სათნოებას?
მჩაგვრელი კი მონას ეტრფის,
მტრობს პირადათ თუმცა მონას:
დღეს რომ დაჭქნოს, ხვალ ტალახში
ამოავლებს ტრფობის კონას!
ასეთია საზოგადოთ
მჩაგვრელების ხარბი გული!
ვინც რომ სჩაგრავს, განა მისგან
შესაძლოა სიყვარული?!
მაშ, შენც, ტუფავ, დაჩაგრულებს
გაუწოდე გრძნობით ხელი,
მათ მიუძღვენ თაიგულათ
ეგ ღიმილიც სანატრელი!..

**ნ. ზომლეთელი.**





## გაუგებრობა.

ერთ ცნობილ ქართველ ლექტორსა ჰკითხეს:

— რატომ არის, ბ-ნო პლატონ, თქვენი ლექციები ყოველთვის ეგრე ძვირათ ღირს?

— ეგ იმიტომ, ბ-ნებო, რომ სასარგებლოს ყოველთვის და ყოველგან ძვირათ ვამბობ.

— ჩვენც სწორეთ ეს გვაკვირვებს და ამიტომ გეკითხებითო, უპასუხეს უკმაყოფილო მსმენელებმა.

—

## ქველმოქმედება.

— საზოგადოთ ჩვენი ხალხი, ქ-ნო დარეჯან და კერძოთ კი თქვენ, კეთილშობილნი, მოკლებული ხართ ქველმოქმედურ გრძნობებს.

უთხრა ერთმა საზღვარ გარეთიდან ჩამოსულმა ახალგაზრდამ, კნეინა დარეჯანს.

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო ლევან, ჩვენ სწორეთ მაგ ქველმოქმედებამ მოგვისპო ლუკმა პური. თითქმის ყველა ქართულ წარმოდგენებს ვესწრებით და მეტი ჩვენგან რაღა უნდათ!

—

## განსხვავება.

— კაცო, რით გაირჩევა ნეტავ ეს უშნო და ულაზათო ძაღლი სხვა პოლიციის ძაღლებისაგან, რომ ეგრე უვლიან და აპატივებენ?

— ალბათ იმითი, რომ ქრთამებს ვერ იღებენ და სუნს კი.

—

## განახლებული წეს-წყობილება.

**უცხოელი.** აბა, როგორა ცხოვრობთ ამ განახლებულ წეს-წყობილების დროს რუსის მოქალაქენი? ხომ კარგათ?

**რუსი.** ოოო! გმადლობთ! ძალიან კარგათ! ყველაფერი ისევ ძველებურია. (სატ.)

—

## სასიამოვნო სიტყვა.

— იყავით სურათების გამოფენაზე?

— დიახ, გახლდით!

— მაშ ნახავდით ჩემს ნახატებს?

— დიახ, ვნახე, მხოლოდ იმათი ნახვა-ღა შეიძლებოდა.

— მართლა? მე მგონია თქვენ აჭარბებთ...

— სრულიადაც არა. მე იმიტომ მოგახსენეთ, რომ სხვა სურათებს ყველას აუარებელი ხალხი ეხვევოდა. (ბუდ.)

# სიფრთხილეს თავი არა სტკივა!




ეშმაკის ახალი პროექტი, შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა უშვებდენ ქუჩებში „ზაკავკაზიე"-ს ზოგიერთ თანამშრომლებს.

(მოწონებულია ეშმაკთა საბჭოს მერ.)

ლიტოგრაფია ს. ბიხოვისა.



## ორი ეშმაკი.

**პირვ.** ვგონებ მოშორდა ქალაქის ზღუდეს ..
**მეორე.** ვინ?
**პირვ.** ბატაილი.
**მეორე.** გადაასახლდეს?
**პირვ.** რაღა თქმა უნდა
და ანგარიში,
აწი ნულა გვაქვს იმისი შიში!
**მეორე.** ნეტავი რისთვის
მოიშორიეს?
ძვირფასი იყო მათთვის მგონი ეს.
მუშებს ხომ ზურგი
გადაუქუცა
(აღარც ტრამვაი დაზოგა თუმცა )
ვის იშოვნიან
მასზე უკეთესს
ასეთ საქმეებს ვინ გაუკეთებს?
**პირვ** რა გააკეთა მან
იმის ღირსი,
რომ ველარ ნახონ ბადალი მისი?
**მეორე.** როგორ თუ რა ქნა?
**პირვ.** სთქვი რაღას ელი...
**მეორე.** მან არ მოსწყვიტა მსახურებს წელი?!
იგი არ იყო,
იგი წარმართი,
რომ შეგვიღება ვერის დაღმართი?
დამაფასებლად
აღარ ეყოფა
პატრონების წინ ეს კატასტროფა?
**პირვ.** ეჰ, მეგობარო,
განა ეს კმარა
ღალმართზე სისხლი რაც დაიღვარა?
სხვა თუ არა აქვს
დანამსახური
სჩანს, მუქთად ჭამა ბელგიის პური.
**მეორე.** ნუ თუ არ კმარა?
**პირვ.** განა არ არი,
ოცი დაჭრილი, ხუთიოდ მკვდარი!
**მეორე.** მაშ მიუმატე
„პრესის ამბავი“
ხომ გახსოვს აგი გრძელი იგავი?
მირზოევისა
ოინბაზობა,
ჟურნალისტების სისხლის გაშრობა
იმდენი კრება
და მელნის ღვარი,
იმდენი სცენა ბლიკვზე მიმდგარი,
ჟურნალ-გაზეთთა
აურზაური,
პართენ გოთუა ყბა შენახური,
ხეჩატუროვი,
ამირაჯიბი,
და ლევორველი მისი ნაჯიბი.
,,სინდისის‘‘ მსაჯულ
მოსამართლენი
(ფემიდის შვილნი და დამამშვენნი!)
ეს ხომ მან შეჰქმა,
იმ დირექტორმა,
დღეს განრისხულმა, მოციქულთ სწორმა?
ნუ თუ მცირეა
ეს სამსახური
რომ არ მოუსპონ მას ლუკმა პური?
**პირვ.** ალბათ მცირეა,
თორემ უბედურს
რათ ამოჰკრავდენ უწყალოთ პანღურს?

---

## დეპეშა ჭიათურიდან.

ტეხნიკური განყოფილების საბჭოს მოსამსახურეებს მრეწველთა კრებამ ჯამაგირები მიუმატა კარტნარდის თამაშის წასახალისებლად.

ექიმი სვიმონი დოსტოქარ სობოლევსკის გამოუდგათ ამბობენ, მარა არ იციან ქარმა ჩაყლაპა თუ ზღვამ ჩანთქა. ხმები დადის ქუთაისში კ. .(აქ ვერ გავარჩიეთ კუდიანი უნდა იყოს) ვარსკვლავს .. (ვერც აქ გავარჩიეთ).

მრეწველთა სიეზდს დაუდგენია: მოსამსახურეები არას მამაოჩვენობით ავათ არ გახდენ. ამის გამო წამლის „მუქთათ“ ძლევა მოსპეს.

ჭინკა.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შარადა

—

დიდი ხანია შარადა
მკითხველს აღარა სმენია,
და, ალბათ, კიდო ამაზე
ავგულით მოიხსენია.
ალბათ სთქვა: „სჭირსო იმასა
უკურნებელი სენია,
თორემ ასეთი დიდი ხნით
აროდეს დაუსვენია“.
ნუ გაუმტყუნებთ! მწერია,
მათი ძე, ჩამომავალი,
ათასი ჭირი თანა სდევს,
ხიფათი მრავალთ მრავალი,
ხან აღმა მიდის, ხან დაღმა
გზა ცხოვრებისა სავალი...
ახლა ისმინეთ იმისთა
ბაგეთა წარმონავალი:
პირველი სიტყვა, შარადის
საფუძვლათ მოსახმარები,
ხენისა არი სახელი
სიცოცხლის გამამწარები,
თავისა ქალა გახადოს
ვითა მდუღარე ნარები,
(უფრორე ძალლნი ხდებიან
იმითა ნამწუხარები)
კანისა ფხანას აუტეხს
ქეცისა მისაგვარები.
(ილოდე: ვისაც შენიშნო
ახლო ნუ გაეკარები,
თორემ დაბრუნდე მუნითგან
გულს სევდა ჩანაპარები)
ოდესა იცნა საჭირო
სახელი იმა სენისა,
პირველი ასოს მოწყვეტა
ნუ შეგშურს, დაგერცხვენისა,
რამეთუ ესე ნასაქმი
შარადას ერთობ შვენისა.
მეორე სიტყვა, ზომა
სიგრძისა, გინა განისა,
ჩვენ ქვეყნად რუსებისაგან
მონაღებ-მონატანისა,
არც მეტის მეტათ მხარგძელი,
არც ძლიერ მოკლე ტანისა
(მანძილი დასაშორები
ყოველი ხრლიგანისა.)
მესამე სიტყვა უფროა
საფიქრალ საჭოჭმანები,
თქვენაც მოგივათ თავებში
ათას ნაირი პლანები,
მაგრამ დაცვივა ყველანი
ვითა ჭერეხზე ღლანები,
აღელვებული მდინარით
ნაპირზე მონატანები.
ის კი ზედმეტი სახელი
არის ქართლელი გლეხისა,
ჭირშიგან კლდეზე მაგარის,
მოუდრეკ მოუტეხისა,
ადვილათ მატარებლის
ყოველგვარ უღელ-კეხისა,
გულუბრყვილობის მიზეზით
შენაძენ დანატეხისა.
ბოლო ანბანი ამ სიტყვას
ტყვილა სდევს მაჩანჩალათა,
შარადისათვის არა ღირს
იგი არც ერთ გროშ ცალათა,
მაშ, დამიჯერეთ ნათქვამი,
როგორც გიქნიათ კვალათა:
თუ არ მოშორდეს, მოჰკვეთეთ
იგი ანბანი ძალათა.
და ნაშთი სამივ სიტყვისა
დარაზმეთ წეროსავითა,
ჯერ იგი სენი, უკურნი
დასვით პირველი, თავითა...
შემდეგ მას ზომა მიადგით
ანბნებით ნახაზავითა,
შემდევ კი იგი სახელი
ღირსებით საკიცხავითა.
მიიღებთ სახელწოდებას
უცხოს, არ ქართულ ხმიანსა,
სინათლის არის სანერგე,
სიბნელეს მისცემს ზიანსა,
ერთგვარათ მოსწონს სულყველას:
მოხუცს, თუ მცირე ხნიანსა.
სწავლასა შესძენს (ვისაც სურს)
მარგეს და ლაზათიანსა
ცხოვრების გზასა გვიშუქებს
ეკლიანს-ბილიკიანსა
ოთხიოდ წელი სჭირია,
(თუმცა, რჩებიან გვიანსა.)
ახლა ჩვენშიაც ფიქრობენ
მას ტაძარს ბარაქიანსა.
ბაქო ეწევა თავისკენ
ქალაქი მაზუთოვანი,
(თუ ფულზე მიდგა სასაქმო
იწყოს ქანქართა თოვანი)
ბათუმი ფიქრობს დაუგოს
ჭაობი ყვავილოვანი,
მჟნ ბაყაყების ორკესტრი
მომჯადოებელ ხმოვანი,
ქუთაისს უნდა აუგოს
შენობა თეთრი ქვოვანი
(განა არ კმარან თავდებათ
ლეჩხუმელ ზუბრთა ხროვანი?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანაგვე პოეტები.

**მელიტონ გობეჩია.**

## „პარიზის სონეტებიდან".

ალბათ სულ სხვაა
სამშობლოს ჰავა. .
ქართველი კაცი სხვაგან რო გავა,
სასოწარკვეთილს
სდგება დონეზე
და ლექსის წერის მოდის ლონეზე.

ასე იყო მაგალითად ვ. გვაზავა, სიმონ ქვარიანი და სხვ. ასეა ბ-ნი მელიტონ გობეჩიაც.

როგორც თქვენის ბედნიერის თვალით დაინახავთ და უმეტეს ბედნიერი ყურებით მოისმენთ, მელიტონ გობეჩია, ეს ამომავალი ვარსკლავი „სახალხო გაზეთის'' საკვირაო დამატებისა, იწყებს ოცნებათა თვისთა ალმაფრენას ქ. პარიზიდან და პარიზშიაც თვით პანტეონიდან.

პანტეონში სხვათა შორის მგოსნის „მრჩობლი'' ყურადღება მიუქცევია ჟანჟაკ რუსსოს საფლავს.

„მათის ძველ ქვეყნის დამარღვეველი,
აფრქვევდი ახალს სხივს მანათობლად,
და შენი ბუჩქი, ვარდის მრხეველი,
ყველგან ისხამდა ყვავილსა მრჩობლად".

„თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო", განა ტყვილათ ამბობს ქართული ანდაზა?! ქართველი კაცი სადაც არ უნდა წაიყვანო, ყველგან პოეტათ რჩება, ყველგან ,,მრჩობლ'', და ,,მრჩობლ სხმით გარდასვლით'' ამდიდრებს სამშობლო ლიტერატურის საკუჭნაოს.

„შთაჰბერე კვლავაც სული ძლიერი,
ვიდრე ვარდებ არ დააგვიგვინა
მთლად შენი ალთქმა ღეთივ-მშვენიერი".

რასაკვირველია საჭიროა „შთაბერვა და დაგვიგვინება'', მაგრამ დახვიხვინება და ისიც პარიზის პანთეონში, ნუ თუ ეგზომ აუცილებელი იყო?

ალბათ იყო, თორემ ბ-ნ მელიტონ გობეჩიას ხელი ხომ არ ჰქაოდა! აი რუსსოს შემდეგ ის ვიქტორ ჰიუგოს სასაფლაოს მისდგომია.

„მიყვარს სახსოვარ საგანთა მზერა,
კედლით გ:დმომცქერ სურათთ შეფრქვევა
და შენის ჩანგის იდუმალ ჟღერა"-ო.

ეუბნება მგოსანი ჰიუგოს და იმას კი აღარ კითხულობს: განსვენებულ მგოსანს უყვარს თუ არა ასეთი სანაგვე მუზის მოსმენა, ასეთი ,,სურათთ შეფრქვევა'' და სხვა სიმშვენიერენი!

სამაგიეროთ პოეტის ნიჭმა უცებ აისხა ფრთები, როგორც კი სასაფლაოებს განშორდა და ,,ლუქსემბურგის ბაღში'' ამოყო თავი. ხომ იცით რას ნიშნავს ქართველი კაცისათვის და მით უმეტეს პოეტისათვის, ბაღი?

„უკრავს მუსიკა...*) გრძნეული ხმები
ხეივანის ქვეშ მიმოწკრიალებს,
გადმობურული მწვანე ფოთლები
გრილის ნიავით წყნარად შრიალებს,
ნაზ მოსეირნეთ თეთრი კაბები
ყვავილთა შორის მიმოფრიალებს **)
მახის დამგები მწველი თვალები
ახალგაზდობას ზედ შესტრფიალებს".

გადაჭარბებაში ნუ ჩამომართმევთ და ქართულ სანაგვე მწერლობაში ამ ორად-ორ ტაეპს ცალი არ მოეპოება. თითონ განსაჯეთ:

მიმოწკრიალებს
ნაზათ შრიალებს
მიმოფრიალებს
ზედ შესტრფიალებს.

რამდენი ლამაზი სიტყვაა და რა მდიდარი რიფმა!!

ლუქსემბურგის ბაღიდან, მგოსანმა მდინარე სენის ნაპირებისაკენ ჩაიარა. ხომ გახსოვთ, ნ. ბარათაშვილსაც უყვარდა მტკვრის პირად ჯდომა და ოცნება. მაგრამ ოცნებაც არის და ოცნებაც. ნ. ბარათაშვილი მტკვრის დუდუნს უგდებდა ყურს და იქ კითხულობდა წარსულის ამბებს. მელიტონ გობეჩიაც გადაეყრდნო მდინარე სენის ნაპირებს.

„მდინარის პირად გადაყრდნობილი,
მთვარის ანარეკლს ვავლებდით თვალსა,
ტალღა ტალღაზე გადაჭდობილი
აკამკამებდა მდუმარე წყალსა.
შევნიშნე შენი მზერა კრთომილი,
ვით ამჟღავნებდა გულის მწვავ ალსა
ხელი ხელს მოხვდა ლახვარ მსობელი
და მთელი არსი მოჰყვა კანკალსა".

აბა გაიხსენეთ „ფიქრი მტკვრის პირად'' და შეადარეთ მელიტონ გობეჩიას ,,ფიქრს სენის ***) პირად''...

რა განსხვავებაა! რა განსხვავება, ღმერთო ჩემო!

„ნელად მოღელავს, მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა".-ო-
ამბობს ნ. ბარათაშვილი. ფიიჰ! განა ეს არის პოეზია! .,ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა''!!!

პოეზია აი ამას ჰქვია და სილამაზე აი ამ სიტყვებშია დამარხული:

„მდინარის პირად გადაყრდნობილი
მთვარის ანარეკლს ვავლებდი თვალსა!"

ახლა წარმოიდგინეთ ოქვენ! რა იქნებოდა, რომ ბ-ნი მელიტონ გობეჩია ბარათაშვილის დროს დაბადებულიყო!! დღეს რომ ასე ცხადათ ჩაჩრდილა იმისი დიდება, მაშინ ხომ პირდაპირ ჩაწვებოდა მდინარეში?..

უბედური ხალხნი ვართ ქართველები!

**ნაცარ-ქექია.**

---

*) ოჰო, ევრიკა! ეშმაკი.

**) ეს ჯადოსნური სანახავები
მარქვით, აზრს ვის არ გაუტიალებს?

***) ჭეშმარიტათ, რომ „სენის" პირად ყოფილა მიმდგარი და „სენით" შეპყრობილი ეს ახალგაზრდა მგოსანი, თუ რასაკვირველია ამ სიტყვას ქართული მნიშვნელობით ვიხმართ. ეშმაკი.

ბევრმა გააკეთა, მაგრამ ჩემისთანა არავის გამოსვლია. აი ეს კიდევ ლიმონის ქერქისაა, ეს კიდევ აპელსინისა, მაშ, კაცმა ყოველისფერი უნდა გამოიყენოს, მაგრამ ყოველისფერის მაგიდაზე მოტანა შეუძლებელია, აბა წამოდი, გაჩვენო. მიმიყვანა ერთ განჯინასთან, რომელიც აფთიაქის შკაფს მოგაგონებდათ, იმდენი ბანკები ელაგა თახჩებზე. თან ისეთის გატაცებით გიამბობდენ მურაბების ისტორიას ეს ახალგაზდა ცოლ-ქმარნი, რომ შემეშინდა მეც მურაბათ არ ვიქცე; საჩქაროთ დავლიე ჩაი, მადლობა გადაუხადე და წამოველი.

გავიდა ხანი. თედო სულ აღარსად ჩანდა. ერთხელ შემხვდა: დატვირთულ კალათით სახლისაკენ მიეშურებოდა. შევაჩერე, ვუთხარი დღეს საზოგადო კრებაა და მოდი-მეთქი. დამპირდა და საჩქაროდ გაქრა. კრებაზე არ მოსულა. როცა შემხვდა მიზეზად ის მითხრა, რომ ჩემს ცოლს ეჯავრება აქეთ-იქით სიარული და მეც მიმაჩვიაო.

ერთხელ კიდევ შემხვდა. ამ ხელად კი დამიწყო პირდაპირ წნილებზე ლაპარაკი. დამპატიჟა სადილათ. ჯერ უარი უნდა მეთქვა, მაგრამ ისეთი გემრიელი წნილის სუნი ასდიოდა, რომ პირს ნერწყვი მომივიდა და უმალ დავსთანხმდი.

მართლაც, რა წნილი გინდა სულო და გულო, რომ იქ არ იყო! კომბოსტო, სიმინდი, გოგრა, ყურძენი, ბადრიჯანი, პამიდორი, ნიორი, ხახვი, ჭარხალი, თევზეულობა, კონსერვები ხილეულობისა, მუჟუჟები სხვა და სხვანაირი, განა მოსთვლის კაცი კიდევ რა არ ერია შიგ გემოს და სუნის მისაცემად! მე გაკვირვება დამეტყო.

— წნილის კარგათ შენახვისათვის, პირველი — ჰაერის მიუკარებლობაა, ჰაერი არ უნდა მიეკაროს, რაც შეიძლება მძიმე ქვა უნდა დაადო, მეუბნებოდა გატაცებით ახალგაზდა დიასახლისი.

ვახშმის შემდეგ თედოს ქუჩაზე გავლა შევთავაზე. დიასახლისმა პროტესტი გამოაცხადა. თედო არ გამოუშო. მე ჩემი ნაცნობის პასუხი თედოს შესახებ მომაგონდა და გამეცინა, დიასახლისმა შემნიშნა და მიზეზი იკითხა.

— არაფერი, ისე, თქვენი წნილის შენახვის კანონი მომაგონდა მეთქი ვუპასუხე ღიმილით, გადაუხადე მადლობა და წნილით დატვირთული გამოველ ქუჩაზე.

ჩემი ნაცნობი მართალი ყოფილიყო: თედო მართლა წნილად ჩადებულიყო.

მაგრამ განა ყველა ჩვენგანი წნილად ჩადებულები არა ვართ-მეთქი, ვიფიქრე მე და მის შემდეგ, როცა კი ვინმე ჩემს ამბავს მკითხავს ხოლმე, მეც ასე ვუპასუხებ:—წნილად გახლავარ მეთქი. და აბა მართლაც მიიხედ-მოიხედე, ჩემო სიმონ, მითხარ თუ მე მართალი არა ვარ. მეტსაც გეტყვი: განა მთელი ჩვენი საზოგადოება, მთელი ხალხი წნილათ ჩადებულები არა ვართ? ჩვენი სახელმწიფოც დიდი წნილის ქილაა, ჩვენი ხალხი [illegible] ლის ცხრაწვენა წნილია და ნუ თუ არა გრძნობ იმ მძიმე ქვას, რომელიც ჩვენ გვაწვება, რომ ჰაერზე არ ამოვიდეთ, ჰაერი არ მოგვეკაროს?

სთქვა ნიკომ და მატარებელიც გაჩერდა სადგურთან. ხალხი აირია და ამხანაგებიც საჩქაროდ გამოეთხოვენ ერთმანეთს.



## მესტვირული

—

დრო ჩამოგვიდგა ისეთი,
გული გაურბის ლხენასა,
უხვად უჭედავს ცხოვრება
სიმწარ — სიავეს, წყენასა,
თვალს მხედველობას უსუსტებს
ამუნჯებს მეტყველ ენასა,
საწამლავს წვეთად აწვეთებს
გასათუთებულ სმენასა.
თავისუფლება ეძლევა
მარტოდენ ცრემლთა დენასა.
რასა გავს დუმა მესამე,
ვისას ასრულებს ნებასა?
ვის უდგამს ოქროს სასახლეს
ვის მიაყნებს ვნებას,
თავისუფლების სენისგან
რათ ფიქრობს განკურნებასა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია ემსახურება
შავრაზმულ „ხელოვნებასა“!
  ფილიანდიას მიადგა
კეხით და უნაგირითა;
მოსთხაროს თავისუფლება
განმტკიცებულის ძირითა,
შესჭამოს ხალხი უძლური
უნიაგაბო პირითა,
გული გაუპოს ლახვარით
მკერთამდე გასაგმირითა.
  სადა ზის ხალხი, რა ხალხი,
სანაგვეს მისათრევELლი;
კაცის მჭამლური გრძნობების
მცნებათ და სჯულათ მცნეველი,
უშვერი სიტყვა პასუხის
წყარო პირ-დაულეველი;
სახრჩობელა აქვთ ხალხისთვის
მათ მხოლოდ მისართმეველი.
  რათ იჩქარიან ყორნები,
თუ მათი ყოფა გრძელია,
რატომ არ უკრთის ხელები
ხალხს რო გამოსჭრეს ყელია,
რას თხზავენ, რაებს ადკენენ.
სად გაუწვდიათ ხელია,
ხომ დაინგრევა მათი ბჯე
ცხადი და უეჭველია.

**მესტვირე.**

---

## შ ე ხ ვ ე დ რ ა.

— ოჰ, გაუმარჯოს ნიკოს! კაცო სადა ხარ, ამდენ ხანს, რა საქმეს ეწევი?

— სცენაზე ვთამაშობ, ძმაო, სცენაზე.

— სცენაზე თამაშობ? ჰმ! ცხონებული მამაშენი რა კეთილი და ჭკვიანი კაცი იყო'!!

(ბუდილ.)

## უაღრესი გულმოდგინება.

— თქვენ მეცხრამეტე ექიმი ბრძანდებით ბ-ნო დავით, რომელსაც ჩემს ავათმყოფ ცოლთან ვიწვევ.

— გულ დამშვიდებით ბრძანდებოდეთ, მეოცე ექიმი მას აღარ დასჭირდება! (ბუდ.)

## ე კ ო ნ ო მ ი ა.

— კაცო, დაეხსენ ამ თავაშვებულ ცხოვრებას და დაუზოგველ ფლანგვას. ამით ხომ ათი წლით მაინც იმოკლებ შენს სიცოცხლეს?

— ჰმ... სამაგიეროთ რამდენი ეკონომია დამრჩება ათი წლის განმავლობაში ჩემი ნაადრევი სიკვდილის შემდეგ! (ბუდ.)

---

## დასაფლავება
(ნადსონით)

  გესმის-სოფელში მდინარის დუდუნს,
კვნესა მიაწნა ყრუთ გლოვის ზარმა
და გულის მკვლელი მოთქმა, ტირილი
მდუმარე მინდორს მოჰფინა ქარმა...
  ხმა სევდის, ნაღვლის, გუგუნებს, კვნესის,
  შორს, შორს იკარგვის, სადღაც ინთქება, —
  გულის ამჩუყი, კაეშნის მგვრელი
  საღამოს სხივთან სულს ღაფავს, ქრება.
აჰა! საგლოვო საგალობელიც...
ეს დასტირიან შრომის მოციქულს...
მან განისვენა: მომთმენმა, მშვიდმა...
მიწა ეყრება პატიოსან გულს...
  დიდხანს ვიდოდა ის შრომის გზაზე,
  თავჩაქინდრული, მწარეთ მდუმარე,
  დიდხანს აპკურა მშობელ მიდამოს
  წამების სისხლი და ოფლი ცხარე..

—

მწველი სხივებით მზე მას დაგავდა,
ძვალს უყინავდა სისინით ძარი,
ღრუბელი შავი თავს დასტიროდა,
რისხვაც მზათ ქონდა გულის შემზარი.
  ქარბუქი ქოხმახს თოვლით უვსებდა,
  უჩანაგებდა სეტყვა ყანასა...
  არ იბრალებდა არვინ უბედურს
  და ყველა მტრობდა მშრომელ მაჯასა.
ბევრ ტანჯვას ძლია ძლიერის ხელით,
დიდხანს ატარა მან შავი ბედი,
სიყრმიდან ჩვეულს მწუხარების წინ
არ მოგიხრია ლაჩრულათ ქედი...
დე, შავს მიწაში მაინც ეშველოს,
იქ განისვენოს სამშობლოს გერმა...
პოვოს სიწყნარე, უზრუნველობა
აქ შრომა, თმენით გულ განაჯერმა...

**ვ. მალაქიაშვილი.**



## ოზურგეთი.

(პროვინციელის ამონაკვნესი)

ძლივს ველირსეთ ქალაქის ახალ ექიმს! ის აფთიაქარ ვასილისას დაბინავდა. შეიძლება მიტომაც ეხერხება ასეთი ძვირი რეცეპტების წერა? იმის რა ბრალია, თუ ავათმყოფი წამლის მაგიერ ექვს შაურიან რეცეპტს მოიტანს ახლში? კი მაგრამ ასე ხომ იზარალებს აფთიაქარი?

აქაური მომრიგებელი მოსამართლე ცხრა საათის მაგივრათ პირველ საათზე იწყებს საქმეების გარჩევას. ესე იგი უწყებაში მოხსენებულ დროზე რვა საათით ადრე. ალბათ ამიტომ არის, რომ სახე ძალზე გაწითლებული აქვს, თვალები წამობერილი და ხშირათ კიდეც .....ირაკლი ამბობს: „რასაც ვეძებდი ეს არის, მოვრჩი და მოვისვენე!"

დღეს ერთმა გლეხმა მითხრა: „მთავრობის მამასახლისმა მცემა, მაგრამ მეშინია „ნაჩალნიკმა" არ გაიგოს, თვარა მე დავაბეზღე ეგონება და მომკლავსო.

ჯილეხი.

---

## სამების მთას.

ის ისევ იქ დგას თავ მოუხრელად...
მას შორით შევსცქერ გულ ამღვრეული
და გულს ესობა მწვავე ისარი
მისის დანახვით გამოწვეული.
მომაგონდება მის მწვერვალისკენ
რომ მივილტოდით თავმოსაყარად,
ვით მართლ-მორწმუნე უდაბნოს მწირნი
გაბრწყინებული სამოთხის კარად,
იქ, მისსა ფერდობს მწვანე ბალახნი
ხავერდის მსგავსათ მიმოფენოდენ,
და ტოტებ ლალად გადატყორცნილი
ბუმბერაზ ცაცხვნი თავს დაგვფენოდენ.
იქ, შორი ახლო, ატეხილ მტევრში
შაშვი უსტვენდა აღტაცებული,
ტკბილათ გალობდა ბუჩქში ბულბული,
მარა რა წამსაც ლალადს იწყებდა
დიად მოძღვრების მქადაგებელი,
თვით არე მარე გაბრწყინდებოდა
ვითა კანდელით საკურთხეველი,
ყოველი არსნი სულ განაბულნი,
ღრმა გულის ყურით, ჩაფიქრებული
გულს იბეჭდავდა ამ ციურს სიტყვებს
შვება სიამით უძგერდა გული.
თ ვისუფლება! თავისუფლება!
ათასი გული იგრიალებდა,
და ამ მტკიცე ხმას, აზრ შეთანხმებულს,
ტყე-ველი გულზე მიიმკვდარებდა.
თავისუფლება, ძმობა, ერთობა!
ორაგვის პირიც იმეორებდა...
ამ დიად სიტყვებს სიამ შრიალით
ნიავი სოფლათ მიაქროლებდა.

II

ის ისევ იქ დგას ქედ მოუხრელათ
სასტიკ ზამთრისგან დიდ ჭირნახული,
ისევ ბიბინებს მისი ფერდობი
თუმცა ვერანათ მიტოვებული,
და... საიდუმლო მისი კალთები
არს ავაზაკთა თავშესაფარად
ბუ ჭოტს უამბობს მაშინდელ ამბავს
ხალხზე გარდახდილს, მოთხრობის გვარად.
მათ აოხრებას, გმირთა განწირვას,
ზესთა ბუნების რისხვას და წყრომას,
კვლავ ჯოჯოხეთათ ქვეყნის გარდაქმნას,
ბნელი ძალების მკვდრეთით აღდგომას,
და ამ შხამ გესლით აღსავსე სიტყვებს
გულ აჩუყებით გაიფრენს ქარი,
ტყე აკვნესდება, კლდე იწყებს გმინვას
ამოიოხრებს მწარედ მთა-ბარი.

შხ. ნკოლა.



## ამათთან შეიძლება.

— ყმაწვილო, როგორ არა გრცხვენიათ ასეთი უწმაწური ლაპარაკი და ისიც ქალებთან?!?

— ეეჰ ამათთან შეიძლება! ერთი მათგანი ყრუა, ხოლო მეორე სტენოგრაფისტკად მსახურობს სახელმწიფო დუმაში! (ბუდ.)

## სასამართლოში

**მსაჯული.** ბ ნო მოწმევ! თქვენ გაიგონეთ და ნახეთ ამ ცოლ-ქმართა ჩხუბი. რას გვეტყვით ამის შესახებ?

**მოწამე.** მე, ბატონო მოსამართლევ, იმას მოგახსენებთ, რომ გადავწყვიტე ცოლი არასოდეს არ შევირთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დეპეშები.

**თელავი.** ორშაბათს 10 მაისს, ღამის 11 საათზე პროგიმნაზიის მასწავლებელ ქალებმა შეერთებული ძალით მიიტანეს იერიში ჟურნალ გაზეთების კანტორაზე. იარაღათ ხმარობდენ ლანძღვა წყევლას, ჭორებსა და მუქარას. ბრძოლამ შუაღამემდი გასტანა, შემდეგ კი უკუგდებულ იქმნენ. ბრძოლის ველზე დასტოვეს გოლოვინსკაია. 12 მაის, ხელმეორეთ შეიკრიბა ბრბო ბურჯის წინ, სადაც ინსპექტორი მამინაიშვილიც დაესწრო ის დიდ დახმარებას დაჰპირდათ. გადამწყვეტი-ბრძოლა მოსალოდნელია შემდეგ კვირაში. გაზეთების კანტორასთან აგებენ დიდ სიმაგრეებს.

—

**იქიდანვე.** ყაზოამ და ჩიჩქინამ, რადგანაც სინდისმა შეაწუხათ განიზრახეს ჰაეროპლანის ფოშტით გაუგზავნონ თავიანთ შეთქმული ფულები სარგებლით პატრონებს.

—

**იქიდანვე.** დიდი წვიმების გამო ადიდდა რიყე. მოიტაცა თათუზოვების გაკეთებული თუჯის ხიდი-დამხრჩვლებათ ჩაითვლებიან: ქალაქის თავი, თანაშემწე და შვიდი ხმოსანი

—

**იქიდანვე.** თელავის სამკითხველოში მეთვალყურეთ ნამყოფმა ნინამ, მოიტანა სამკითხველოში ის 40 ცალი წიგნი, რომლებიც მისი გამგეობის დროს კავალრებმა მოპარეს სამწუხაროთ წიგნები სამკითხველოს გამგემ ისევ თავშივე მიაყარა.

—

**იქიდანვე.** კოლია ფერშალი ილებს ყოველ დღე ღვინითა და არაყისგან განაწყენებულ ავათმყოფებს. ადრესი კონაშვილების ბაღი, რევაზას რესტორანი, სტოლი პირველი.

---

**ლანჩხუთის ინტელიგენტური სიმღერა.**

ვის რა უნდა ისა სწეროს,  
ვის რა უნდა ისა სთქვასო,  
არ შერჩება ჩვენს შუბლს ცერცვი  
თავიც არტყან თუნდა ქვასო.  
მიზნათ ვსახავთ არშიყობას,  
(სახუნტრუცოც ბევრი გვყავსო.)  
სამკითხველოს ვინც გავეკვრით,  
შევაქლიბავთ თითო ტყავსო.  
ახლა ისიც გარდიცვალა,  
არ ვიტკივებთ მისთვის თავსო.  
გაზეთები რა მთხლეთ გვინდა,  
კიახვის დროი სადღა გვაქვსო.

**შხანკოლა.**

---

## წარმართს

დიდხანს ველოდით მოუთმენელად  
ცხოვრების ცაზე დილის გარიჟრაჟს  
და თვალნი გვეპყრა აღმოსავლეთით:  
იქ ვიხილავთო ცის წითლად ღაჟღაჟს!  
იმანაც მოსვლა არ დაიყოვნა  
ცაზე აენთო, როგორც ლამპარი,  
შვების სხივები გადმოაფრქვია  
და მით შემოსა ცხოვრების ქნარი...  
მაგრამ იცვალა გარამოება:  
ქარმა აიკლო კიდითი კიდე,  
სამტრო უხერხა დილის გარიჟრაჟს:  
ჩამოაფარა თვალთ ბნელი რიდე.  
ჩვენ კვლავ ველოდით მოუთმენელად..  
დასავლეთისკენ გადილო ცამა,  
ცბიერ ქვრივივით გამოიპვრიტა,  
ლურჯი თვალები დააკამკამა;  
დარცხვა თუ შეკრთა: მიმქრალ ლოყებზე  
ცეცხლის ალმურმა უწყო ღაჟღაჟი ..  
ეჰ, სად ჩასულა ჩვენი ცისკარი!  
ნუ თუ ეგ არის ის გარიჟრაჟი?!.  
არა... აწ შვების ტურფა სხივები  
არ ამშვენებენ ჩვენს ლიად ალამს,  
შურის ძიების ცეცხლის ისრები  
მეორე მხრიდგან გვითვლიან სალამს..  
ჩვენ კვლავ მოველით .. ჩუ! იქ რაღაცამ,  
გესმისთ, საზარლად რომ დაიგმინა?  
ეგ ისევ ქარმა კიდითი კიდეს  
დაუარა და დაიქვითინა!  
გმინავს წყვდიადი, ღრტვინავს უკუნი,  
ცხოვრების ზღვაზე ჯანყია, ღელვა;  
ძრწიან ალ-ქაჯნი, შავნი ჯადონი.  
ვახვახებს მეხი.. ტკრციალებს ელვა..  
,,დიდება შენდა!‘‘..  
..ოჰ, უგუნური!  
ცა გადაიღებს, ზღვა დამშვიდდება,  
ჯადო ალ-ქაჯებს საფლავს გავუთხრით,  
ღამის ფერია ვერ გაფრინდება,  
დილის რიჟრაჟი აღმოსავლეთით  
ცისა კიდეზე კვლავ გაბრწყინდება  
და შენ, წარმართო, როცა აწმყოზე  
ყოვლი იმედი გაგიწბილდება,  
ცოდვილი ბაგით კვლავ ჩვენს გარიჟრაჟს,  
ვიცი, შესძახებ: ,,შენდა დიდება!‘‘..  
მაგრამ ამაოდ!.. ამ დაძახილით  
შენს გულს მაინც ვერ მოეფონება:  
მორწმუნის სახელს ის ვერ გაითქვამს,  
ვინც სულით მარად სხვას ემონება!..

**ნ. ზომლეთელი.**

## დიდხანს ვიდექი ტაძრის კარებთან...

დიდხანს ვიდექი ტაძრის კარებთან
წმიდა ლოცვისთვის შორით მოსული,
ქანც მილეულმა, უღვთოდ დაღლილმა
დაკეტილ კარებს მ ვაყრდნე გული...
„გამიღეთ კარი!.. გამიღეთ მეთქი!
მინდა ვილოცო, მაჩვენეთ ხატი!
ჩემი ღვთაება, სიცოცხლის ლუზა,
გულის სიღრმეში ღრმად ჩანახატი“ ..
ვიძახდი, ვთხოვდი, თავს ვცემდი კედელს,
ვღნებოდი გრძნობით, მწარეთ ვსტიროდი...
ხმა არსით იყო, კარს არ მიღებდენ...
ყურს არ მიგდებდენ, ტყულა ვჩიოდით.
,,კარი, კარები!.. ისევ მოვსთქვამდი,
წმიდა სამსხვერპლო, საკურთხეველი...
გუნდრუკი მომაქვს მე შორის გზიდან,
თან წმიდა გრძნობა დაუნთხეველი...
მინდა შევსწირო... გამიღეთ ბჭენი...
მაჩვენეთ ხატი, მაჩვენეთ ღმერთი...
დამავიწყევით ვაება, კვნესა ..
მწარე სიცოცხლე შხამთან ნაერთი‘‘...

—

კარი გაიღო, ლოცვა მისმინეს...
ტაძარს შევიჭერ მუხლ მოსაყრელათ...
ის დუმდა .. დუმდა გაცივებული
გრძნობის გამგონათ და გულის მკვლელათ. .
გულის ფანცქალით ხატს მივაშურე ..
ვაჰმე, ვერ ვპოვე ჩემი იმედი ..
ის გაეტაცნათ, სადღაც წაეღოთ...
თავს მეხი დამცეს... კვლავ შავი ბედი ..
კვნესა აღმომხდა ისევ გულიდან:
,,ვინ, ვინ გაქურდა ჩემი ტაძარი?
ვინ, ვინ დამიმხო პირქვე სამსხვერპლო?
რამ შთანთქო ხატი, მარქვით, სად არი?
,,განშორდი ტაძარს! ის აქ არ არის“,
მესმა დაშხამულს ხმა იდუმალი,
გასწი ისევ წინ!. ნუ, ნუ შედრკები,
გათელე ღრენი და გზა უვალი...
იქ, იქ არის შენი ღვთაება,
მხოლოთ იქ პოვებ შორს, უცხო მხარესა..-
გასწი, განშორდი აქაურობას,
გაუძელ სევდას და სიმწუხარეს!‘‘

—

და კვლავ გზაში ვარ მარტო, ეული...
უნდა ვიპოვო ჩემი ტაძარი...
იქნებ ნახევით, თქვენი ჭირიმე,
ნუ დამიმალავთ, მარქვით სად არი?

**ვ. მალაქიაშვილი.**


კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянских
кахетинских виноградовладельцев
„Кахетія“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქნებში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით უმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и пивтейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 | | — 35 к. | 16 | „ | — 5 р 10 к. |
| № 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д № 81
Михаилу Николаевичу Кодалову.



## იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ



დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

კ. პ. კანდელაკისა

# კოოპერაცია

თეორია, ისტორია და პრაქტიკა

წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდფულზე შემდეგის ადრესით: *Тифлисъ, Типографія Шрома В. К. Болквадзе.*

ვინც არა ნაკლებ 50 ცალისა გამოიწერს, დაეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი გაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს შვიდი შაურის მარკები და ამ ფასში მიიღებს თავის ადრესზე.



## ყვავის ჭკუა.

**ყვავი.** თავი მოგვაბეზრეს თავიანთ ნიჭსა და ჩვენს უნიჭობაზე წერა—ლაპარაკით. ახლა შეხედე: ათ საჟენზე აფრენილა და თავპირ მტვრევით ისევ ძირს მოდის.

# სანაგვე პოეტები.

**მელიტონ გობეჩია.**

**„პარიზის სონეტებიდან‘‘.**

ალბათ სულ სხვაა
სამშობლოს ჰავა. .
ქართველი კაცი სხვაგან რო გავა,
სასოწარკვეთილს
სდგება დონეზე
და ლექსის წერის მოდის ლონეზე.

ასე იყო მაგალითად ვ. გვაზავა, სიმონ ქვარიანი და სხვ. ასეა ბ-ნი მელიტონ გობეჩიაც.

როგორც თქვენის ბედნიერის თვალით დაინახავთ და უმეტეს ბედნიერი ყურებით მოისმენთ, მელიტონ გობეჩია, ეს ამომავალი ვარსკლავი „სახალხო გაზეთის‘‘ საკვირაო დამატებისა, იწყებს ოცნებათა თვისთა ალმაფრენას ქ. პარიზიდან და პარიზშიაც თვით პანტეონიდან.

პანტეონში სხვათა შორის მგოსნის „მრჩობლი‘‘ ყურადღება მიუქცევია ჟანჟაკ რუსსოს საფლავს.

„მათის ძველ ქვეყნის დამარღვეველი,
აფრქვევდი ახალს სხივს მანათობლად,
და შენი ბუჩქი, ვარდის მრხეველი,
ყველგან ისხამდა ყვავილსა მრჩობლად“.

„თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო“, განა ტყუილათ ამბობს ქართული ანდაზა?! ქართველი კაცი სადაც არ უნდა წაიყვანო, ყველგან პოეტათ რჩება, ყველგან ,,მრჩობლ‘‘, და ,,მრჩობლ სხმით გარდასვლით‘‘ ამდიდრებს სამშობლო ლიტერატურის საკუჭნაოს.

„შთაჰბერე კვლავაც სული ძლიერი,
ვიდრე ვარდებ არ დააგვიგვინა
მთლად შენი ალთქმა ღეთივ-მშვენიერი“.

რასაკვირველია საჭიროა „შთაბერვა და დაგვიგვინება‘‘, მაგრამ დახვიხვინება და ისიც პარიზის პანთეონში, ნუ თუ ეგზომ აუცილებელი იყო?

ალბათ იყო, თორემ ბ-ნ მელიტონ გობეჩიას ხელი ხომ არ ჰქაოდა! აი რუსსოს შემდეგ ის ვიქტორ ჰიუგოს სასაფლაოს მისდგომია.

„მიყვარს სახსოვარ საგანთა მზერა,
კედლით გადმომცქერ სურათთ შეფრქვევა
და შენის ჩანგის იდუმალ ჟღერა“-ო.

ეუბნება მგოსანი ჰიუგოს და იმას კი აღარ კითხულობს: განსვენებულ მგოსანს უყვარს თუ არა ასეთი სანაგვე მუზის მოსმენა, ასეთი ,,სურათთ შეფრქვევა‘‘ და სხვა სიმშვენიერენი!

სამაგიეროთ პოეტის ნიჭმა უცებ აისხა ფრთები, როგორც კი სასაფლაოებს განშორდა და ,,ლუქსემბურგის ბაღში‘‘ ამოყო თავი. ხომ იცით რას ნიშნავს ქართველი კაცისათვის და მით უმეტეს პოეტისათვის, ბაღი?

„უკრავს მუსიკა...*) გრძნეული ხმები
ხეივანის ქვეშ მიმოწკრიალებს,
გადმობურული მწვანე ფოთლები
გრილის ნიავით წყნარად შრიალებს,
ნაზ მოსეირნეთ თეთრი კაბები
ყვავილთა შორის მიმოფრიალებს **)
მახის დამგები მწველი თვალები
ახალგაზდობას ზედ შესტრფიალებს“.

გადაჭარბებაში ნუ ჩამომართმევთ და ქართულ სანაგვე მწერლობაში ამ ორად-ორ ტაეპს ცალი არ მოეპოება. თითონ განსაჯეთ:

მიმოწკრიალებს
ნაზათ შრიალებს
მიმოფრიალებს
ზედ შესტრფიალებს.

რამდენი ლამაზი სიტყვაა და რა მდიდარი რითმა!!

ლუქსემბურგის ბაღიდან, მგოსანმა მდინარე სენის ნაპირებისაკენ ჩაიარა. ხომ გახსოვთ, ნ. ბარათაშვილსაც უყვარდა მტკვრის პირად ჯდომა და ოცნება. მაგრამ ოცნებაც არის და ოცნებაც. ნ. ბარათაშვილი მტკვრის დუდუნს უგდებდა ყურს და იქ კითხულობდა წარსულის ამბებს. მელიტონ გობეჩიაც გადაეყრდნო მდინარე სენის ნაპირებს.

„მდინარის პირად გადაყრდნობილი,
მთვარის ანარეკლს ვავლებდით თვალსა,
ტალღა ტალღაზე გადაჭდობილი
აკამკამებდა მდუმარე წყალსა.
შევნიშნე შენი მზერა კრთომილი,
ვით ამჟღავნებდა გულის მწვავ ალსა
ხელი ხელს მოხვდა ლახვარ მსობელი
და მთელი არსი მოჰყვა კანკალსა“.

აბა გაიხსენეთ „ფიქრი მტკვრის პირად‘‘ და შეადარეთ მელიტონ გობეჩიას ,,ფიქრს სენის ***) პირად‘‘...

რა განსხვავებაა! რა განსხვავება, ღმერთო ჩემო!

„ნელად მოღელავს, მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა“.-ო-

ამბობს ნ. ბარათაშვილი. ფიიჰ! განა ეს არის პოეზია! .,ჰკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა‘‘!!!

პოეზია აი ამას ჰქვია და სილამაზე აი ამ სიტყვებშია დამარხული:

„მდინარის პირად გადაყრდნობილი
მთვარის ანარეკლს ვავლებდი თვალსა!“

ახლა წარმოიდგინეთ თქვენ! რა იქნებოდა, რომ ბ-ნი მელიტონ გობეჩია ბარათაშვილის დროს დაბადებულიყო!! დღეს რომ ასე ცხადათ ჩაჩრდილა იმისი დიდება, მაშინ ხომ პირდაპირ ჩაწვებოდა მდინარეში?..

უბედური ხალხნი ვართ ქართველები

**ნაცარ-ქექია.**

---

*) ოჰო, ევრიკა! ეშმაკი.

**) ეს ჯადოსნური სანახავები
მარქვით, აზრს ვის არ გაუტიალებს?

***) ჭეშმარიტათ, რომ „სენის“ პირად ყოფილა მიმდგარი და „სენით“ შეპყრობილი ეს ახალგაზრდა მგოსანი, თუ რასაკვირველია ამ სიტყვას ქართული მნიშვნელობით ვიხმართ. ეშმაკი.

## მათრახის ფოსტა.

**თელავი ხოხობს.** მართლა ხოხობსავით მოგ-სვლიათ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თავი, ბუჩქის მაგივრათ, ლექსში ჩაგიყვიათ.

**ქვიშხეთი. წყაროს.** თქვენი ლექსი ,,ადგილობრივი რამე-რუმე'' არ დაიბეჭდება. გულის გაგრილება ადვილი იქნება, თუ იწყენთ.

**სამტრედია. ხავსს.** თქვენს ლექსს ვერა ვბეჭდავთ იმ მოსაზრებით, რომ არავინ დაგვცინოს: ,,წყალ-წაღებული ,,ხავსს'' ეკიდებოდაო''. ჯერ-ჯერობით ეგრე არ არის ჩვენი საქმე.

**ქუთაისი.** ასკანელ პროკოფიას. თქვენ კიდევაც ტრაბახობთ, რომ წერილი უმარკოთ გამოგვიგზავნეთ და 7 კაპიკის მაგივრათ 14 დაგვახარჯვინეთ. მოგეტევებათ, რადგან ამ უმსგავსო ლექსის წერაში ლბათ ერთი დღე მაინც დაგეხარჯებოდათ:

„ვხედავ ვხედავ დროთა ბრუნვამ
წაგვკრა, ძმაო, თვისი ტორი.“
ასეთ ლექსს რა მოუხდება?
ოჰ, გოდორი, ოჰ, გოდორი!

**ქუთაისი.** სან-ნარელს. ბევრი ვეცადეთ თქვენი სურვილი აგვესრულებია, მაგრამ არ მოხერხდა. გულს ნუ გაიტეხთ!

**ოზურგეთი.** ლორს. აჩირებული ფსევდონიმია, მით უმეტეს, რომ თქვენ იწერებით: „ეს ფსევდონიმი სავსებით შეესამება საგანთ.“ ნეტავი რომელ საგანს?

**ჭიათურა.** შავ-ქვას. ხომ იცით ისეთი ლექსების მაზანდა შავი ქვისაზე უფრო დაცემულია! სკოლის ამბავი შეიძლება დაიბეჭდოს...



## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ დაამოწმოთ, რომ „მათრახ-სალამურში“ № 17-ში ჭიქაურიდან და სხვა მოთავსებული დეპეშები მე არ მეკუთვნის და არცა რაიმე ცნობებს ვგზავნი აღნიშნულ ჟურნალში *)

ი. ხუციშვილი.

---

*) «მათრახ-სალამურის» რედაქცია ამოწმებს, რომ ბ-ნ ი. ხუციშვილს არ ეკუთვნის აღნიშნული წერილები.

---

წელიწადი 1910 წლისათვის მეორე.
მიიღება ხელის მოწერა
ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




ვინც ამ თავდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ.

პრემიათ გაეგზავნება
ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“
Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. «შრომა» რუსის ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.

# მომაკვდავის სურვილი.

„რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ჩინოვნიკმა თავი მოიკლა. ადმინისტრაციამ საქმე ფიცხლავ გამოიძია და აღმოჩნდა, რომ მიცვალებულის იარაღის ტარების ნება არა ჰქონოდა. ამის გამო შედგენილ იქნა სასტიკი ოქმი“. (ჟურნალ-გაზეთებიდან)



— ხედავ, ჩემო ბებერო, საცაა მოვკვდები. ეცადე ყველა მოწმობები წეს რიგზე იქონიო, ისე როგორც კანონი გვიბრძანებს.